ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 181

ქ.თბილისი 28 ივნისი, 2022 წელი

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის, გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი", წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის ნინო სიჭინავას სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და N6000727222 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,შემსყიდველმა", მოლაპარაკების საფუძველზე, „მიმწოდებლისგან" მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით 39522110 - გათვალისწინებული საქონლის, კერძოდ 3 ცალი ბრეზენტის (დანართი N1-ის შესაბამისად) მიწოდებაზე, საერთო თანხით - 99,75 (ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 75 თეთრი) ლარი (შემდგომში - ,,ხელშეკრულების ღირებულება") დღგ-ის ჩათვლით.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
4. დაფინანსების წყარო - 2022 წლის საკუთარი სახსრები.
5. წინამდებარე ხელშკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, არაუმეტეს 2022 წლის 05 ივლისისა;
6. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, არაუგვიანეს 2022 წლის 31 აგვისტოსი.
7. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი №1 - ფასების ცხრილი, რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
8. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე და დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით ორივე მხარის მიერ.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84 ტელ: (995 32) 2 25 84 84 ელ.ფოსტა: info@expertiza.gov.ge მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 სახაზინო კოდი: 707767126 ს/კ 204852089.	შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი" მის: თბილისი, ქართულ-ამერიკული მეგობრობის N25 ტელ: 322 505050 ელ.ფოსტა: nsichinava@domino.com.ge მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE83TB7920036020100004 ს/კ 406119178

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მუმლაძე

Giorgi Mumladze Digitally signed by Giorgi Mumladze
Date: 2022.06.28 15:53:17 +04'00'

დირექტორის მ/პ
ნინო სიჭინავა

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. საპატენტო უფლებები

საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ინსპექტირების გზით განახორციელებს ბიუროს ლოჯისტიკის მთავარი სპეციალისტი - ავთანდილ წივწივაძე.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. საქონლის მიწოდების პირობები

შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს - თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N84.

5. შეფუთვა

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მითითებული დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ. მიწოდებული საქონლის მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებ(ენ)ს ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი - პაპუნა აბულაძე ან/და ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ქეთევან დარბაიძე.

6.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება და ანგარიშსწორება განხორციელდება ინპექტირების დადებითი დასკვნის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. ინპექტირებისათვის საჭირო ვადები არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად, გარდა იმ შემთხვევისა თუ მოწოწდებული საქონელი ან/და გაწეული მომსახურება არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოწერილი სასაქონლო ზედნადები.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის საქონელი და იგი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7.2. მიმწოდებელი თავისუფლდება 3.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან თუ ხარვეზის წარმოქმნა გამოწვეული იქნება შემსყიდველის მიზეზით.

7.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულების 7.2 პუნქტში გათვალისწინებული საგარანტიო ვადის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო.

8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ საგადახდო დოკუმენტის გამოწერის, ინპექტირების და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდგომ, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ინსპექტირებისთვის საჭირო ვადები არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოწოდებული საქონელი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

9. ფასები

ერთეულის მიხედვით ხელშეკრულების ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 – ფასების ცხრილი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები სხვა პირს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და

გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, რომლის დაქვითვაც განხორციელდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მე-13 მუხლის 13.1, 13.2 ან 13.3 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

14.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

14.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

14.2.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.2.2. მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევაში;

14.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების 14.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. შეტყობინება

17.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

დანართი №1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება და ტექნიკური პარამეტრები	რაოდენობა	ერთეული	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი/ბრენდი	ერთეულის ფასი ლარი დღგ-ის ჩათვლით	საერთო ღირებულება ლარი დღგ-ის ჩათვლით
1	ბრეზენტი არმირ.ლურჯი 4X6მ 60g. PL/6	3	მეტრი	პოლონეთი	Bradas	33,25	99,75

Nino Sitchinava 01016005748

Digitally signed by Nino Sitchinava Date: 2022.06.28 15:26:56